სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი
94158702431320

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება
რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი
N200985026

რეგისტრაციის თარიღი
03.12.2020 წ

ნოტარიუსი: ნათია ფაღავა
მისამართი: ბათუმი, მელაშვილის ქ. N29
ტელეფონი: +995 (422) 241774

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორი ათას ოცი წლის სამ დეკემბერს, მე, ნოტარიუს ნათია ფაღავას, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქალაქი ბათუმი, მელაშვილის ქუჩა N29, მომმართა **ქალბატონმა ელისო ჟორჟის ასული ბოკუჩავამ**, დაბადებული 23.03.1972წ., დაბადების ადგილი: საქართველო, მისივე განცხადებით მცხოვრები საქართველო, ქალაქი თბილისი, ნიკოლოზ ყიფშიძის ქუჩა, N 3ბ, ბინა 4, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, პასპორტი RUS 71 8344776, გაცემული 27.03.2012წ., გამცემი ორგანო ფსს 63001, მოქმედების ვადა 27.03.2022წ., რომელმაც განაცხადა, რომ სურს შეადგინოს და სანოტარო წესით დაადასტუროს მინდობილობა, რომლითაც **ბატონ რამაზ ჭურაძეს** მიანიჭებს შესაბამის უფლებამოსილებას.

მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, შევამოწმე მიმნდობის ქმედუნარიანობა, რაც სანოტარო აქტის შედგენისა და დადასტურების დროს ეჭვს არ იწვევდა. დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, შევადგინე მინდობილობა, მიმნდობს წავუკითხე ხმამაღლა, მან წაიკითხა მინდობილობა, დაადასტურა, რომ იგი სრულად გამოხატავს მის მიერ გამოვლენილ ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი.

მინდობილობა

ქალაქი ბათუმი, ორი ათას ოცი წლის სამი დეკემბერი.

მე, **ელისო ჟორჟის ასული ბოკუჩავა**, ამ მინდობილობით **ბატონ რამაზ ჭურაძეს**, დაბადებული 26.09.1991წ., პირადი №01024075296, ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას:

მართოს, კერძოდ: აწარმოოს მშენებლობა (მათ შორის, მიშენება/დაშენება), დააზუსტოს ფართობი, აწარმოოს არქიტექტურული და საპროექტო სამუშაოები, ჩემს კუთვნილ უძრავ ქონებაზე, მდებარე მისამართზე: ქალაქი თბილისი, ქუჩა ყიფშიძე, N 3ბ, სადარბაზო 3, სართული 2, ბინა N4, (საკადასტრო კოდი N01.14.14.003.068.01.01.004).

რისთვისაც იყოს ჩემი წარმომადგენელი სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, მათ შორის, საჯარო რეესტრში, თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებში, არქიტექტურულ დაწესებულებებში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, მისი ნებისმიერი სტრუქტურული ერთეულის წინაშე, სსიპ ქონების მართვის ეროვნულ სააგენტოში, საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში, ჩემი სახელით წარადგინოს და მიიღოს შესაბამისი საბუთები, დოკუმენტები, მათ შორის, ნებართვები, ნახაზები, პროექტები და ა.შ., ხელი მოაწეროს ყველა შესაბამის დოკუმენტს, მათ შორის, პროექტის შეთანხმების, კორექტირების, მშენებლობის ნებართვის მიღების, ვადის გაგრძელების და სხვა ყველა საკითხთან დაკავშირებით, გადაიხადოს მოსაკრებლები, დადოს, შეაჩეროს, გააგრძელოს ან/და გააუქმოს ნებისმიერი სახის ხელშეკრულება, გარიგება, იყოს წარმომადგენელი ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირთან, მოახდინოს ცვლილებები/შესწორებები (მათ შორის, პროექტში), დააზუსტოს ფართობები და ა. შ., შეასრულოს ყველა შესაბამისი მოქმედება და ფორმალობა ამასთან დაკავშირებით, ასევე შეიყვანოს/ჩართოს ბუნებრივი აირი, ელექტროენერგია, ინტერნეტი, წყალი და სხვა კომუნიკაციები, დამაყენოს აღრიცხვაზე აბონენტად, გადაიხადოს მოსაკრებლები, დადოს, შეაჩეროს, გააგრძელოს ან/და გააუქმოს ნებისმიერი სახის ხელშეკრულება, გადაიხადოს კომუნალური (ელექტროენერგიის, წყლის, ბუნებრივი აირის, სანდასუფთავების, ტელეფონის, ინტერნეტისა და სხვ.) და/ან სხვა სახის გადასახადები, მოახდინოს ანგარიშსწორება, ასევე განახორციელოს ყველა სხვა მოქმედება, რაც დაკავშირებულია მითითებული დავალებების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია 1 (ერთი) წლის ვადით, მესამე პირებზე შემდგომი გადანდობის უფლების გარეშე.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია სამ, თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ჩემს, ნოტარიუს ნათია ფაღავას სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი ეგზემპლარები გადაეცა მიმნდობს.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური 10,0 ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011წ., №507) 31-ე მუხლისა, აგრეთვე დღგ თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა 1,80 ლარი, აგრეთვე 2,0 ლარი სანოტარო მოქმედების ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციის საფასური, ამავე დადგენილების 39–ე მუხლისა, სულ 13,80 ლარი.

ბოკუჩავა ელისო

ნოტარიუსი _____ ნათია ფაღავა